

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს “პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია” საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შპს “პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის” ს/კ (204861961) სახელმწიფო რეგისტრაცია განხორციელდა 1996 წელს, ,მარეგისტრირებელი ორგანო თბილისი ვაკის რაიონის სასამართლო.

რეგისტრირებული იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ისნის რაიონი, ქეთევან წამებულის გამზირი, #51/2

ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი ისნის რაიონი, ქეთევან წამებულის გამზირი, #51/2

დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 163 ადამიანს. (2018 წელს- 157)

კომპანიის დამფუძნებელს წარმოადგენს: ირინე შოთაძე პ/ნ (465912257, 01017002643 /აშშ/- 100%.

კომპანიის მმართველობის ორგანო შედგება შემდეგი წევრებისგან:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით : თავმჯდომარე/წევრი: პნ/ 01030004891 დავით ბახტაძე, თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: პ/ნ 01002019102 გიორგი მელიქიშვილი, წევრი : პ/ნ 465912257-01017002643 ირინე შოთაძე.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: თავმჯდომარე/წევრი: პნ/ 01030004891 დავით ბახტაძე, თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: პ/ნ 01002019102 გიორგი მელიქიშვილი, წევრი : გიორგი ნუსუბიძე პ/ნ 01017012086.

კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას 1992 წლიდან წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა ლიცენზიის გაცემის თარიღი 03,07,1992 წელი, ლიცენზიის #

01-17-08/877. კომპანიის თავდაპირველ სახელწოდებას წარმოადგენდა შპს „თბილისის სამედიცინო აკადემია“, 2001 წლიდან კომპანიის სახელწოდებაა შ.პ.ს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია“-ს. კომპანიის სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღია 31.12.1996 წელი. # 5/4-1092 .

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) საფუძველზე.

2.2 საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

2.3 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულებებზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიების აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალების განხილულია ქვემოთ მითითებულ შენიშვნებში.

2.4 საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია და წარმოდგენილია ქართულ ლარში.

უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშგებაში ხორცილდება ოპერაციების განხორციელების დღეს არსებული კურსის გამოყენებით.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. არათვლადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას უცხოურ ვალუტაში არსებული მუხლების გადაფასებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

ვალუტა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
ლარი/აშშ დოლარი	2,6766	2,8677
ლარი/ევრო	3,0701	3,2095
ლარი/დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,3955	3,7593

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ხარჯი, თუ ამის აუცილებლობა არსებობს.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

- ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლების შემდეგ;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების აღგელამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და აღდგენის ადგილის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

ზარალი, რომელიც წარმოშობილია ძირითადი საშუალების ჩამოწერიდან აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში, ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება აღიარდება ხარჯებში, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით და ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფისთვის განსაზღვრული პროცენტი წარმოდგენილია შემდეგნაირად.:

- შენობა ნაგებობები - 5 %
- ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი 20%

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს შეფასებით თანხას, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, (გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით), თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულია, თუ კომპანია აპირებს მის გამოყენებას აქტივის მთელი ფიზიკური ვადის განმავლობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება და საჭიროების შემთხვევაში იცვლება ბალანსის მომზადების თარიღისთვის.

3.3 არამატერიალური აქტივი

კომპანიას აქვს ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები.

3.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მომდევნო პერიოდებში იზომება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელთაც პროცენტი არ ერიცხება აღირიცხება ნომინალური ღირებულებით. ამოუღებელი თანხების სავარაუდო ოდენობის შესაბამისი ანარიცხები აღიარდება მოგება-ზარალში მაშინ, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული ანარიცხები იზომება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და საწყისი აღიარებისას მიღებული სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, როდესაც ეს უკანასკნელი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით არის დისკონტირებული.

3.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა

თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

3.6 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

3.7 ფინანსური იჯარა

იჯარის ვადის დასაწყისისათვის კომპანია აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებებს ფინანსურ იჯარაზე აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივებს და ვალდებულებებს საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) ემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულების გასაანგარიშებელი დისკონტირების განაკვეთს წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, თუ მისი დადგენა შესაძლებელია; თუ არა, გამოიყენება მოიჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშერულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებას დამატებული გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებით გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად :

- სესხები და მოთხოვნები;
- რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნება მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტის დაყოფა კატეგორიებად შეესაბამება, იმას თუ, მისგან გამოწვეული შემოსავალი ან ხარჯი აისახება მოგება-ზარალში თუ სხვა სრულ შემოსავალში.

ზოგადად, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე ერთხელ საანგარიშგებო პერიოდში. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად „ფინანსური ხარჯი“, „ფინანსური შემოსავალი“ ან სხვა „ფინანსური ხარჯი“.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე და მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, აგრეთვე ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

კომპანიას ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშზე.

II ფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

ფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, მოიცავს სავაჭროდ გამიზნულ ფინანსურ აქტივებს და აგრეთვე იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას კომპანია აკლასიფიცირებს ამ კატეგორიაში. განმარტების თანახმად, ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვას, მიეკუთვნება ამ კატეგორიას.

ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც მიიღება წარმოებული ფინანსური აქტივებიდან, რომელიც აქტიურ ბაზარზე განისაზღვრება საბაზრო გარიგებების შედეგად, ეფუძნება რეალურ ღირებულებაში ცვლილებას, ხოლო არა აქტიურ ბაზარზე, შეფასების მოდელის გამოყენებას.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

I სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სხვაობა წარმოშობილი მის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი მიღებულია აქციონერისგან. ამ შემთხვევაში სხვაობა წარმოშობილი რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. საწყისი აღიარების შემდეგ, სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ხოლო სხვაობა წარმოშობილი მის თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარდება ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, შექმნას ან წარმოებას, ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

II სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემოდგომში ისინი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.9 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირებულია აკუმულირებული მოგებით. დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.10 ანარიცხები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანარიცხი აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს ვალდებულება იურიდიული ან კონსტრუქციული, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განოვთვებული რესურსების გასვლა. როცა ფულის დროითი ღირებულების ეფექტი მნიშვნელოვანია ანარიცხების თანხა უნდა წარმოადგენდეს იმ დანახარჯების დღევანდელ ღირებულებას, რომლებიც მოალოდნელია, რომ საჭირო იქნება მოვალეობის შესასრულებად, დისკონტირების განაკვეთი უნდა წარმოადგენდეს დაბეგვრამდე არსებულ განაკვეთს, რომელშიც გათვალისწინებულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებისა და მოცემული ვალდებულებებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკი.

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის

გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და კომპანიას განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა) ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

3.12 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ საგაწრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის

ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

(გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს;

და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება

3.13. ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედეგის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალ ლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიხდება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

4. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 2,929,413 ლარს, მათ შორის ლიზინგით აღებული ქონების საბალანსო ღირებულება არის 26,430 ლარი. ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით და შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ღირებულებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით.

კომპანიამ 2019 წელს სრულად დაფარა ფინანსური იჯარის ხელშეკრულების სალიზინგო გადასახდელები: ძირი-21,969.66 ლარი, პროცენტი-1,081.55 ლარი, მომსახურება-3,282.2 ლარი, სულ ჯამში 21,969.66 ლარი.

ლირებულება	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა	ბიოლოგიური აქტივი	მიწა	სულ ჯამი
2018 წლის 01 იანვარი	268,429	154,646	333,880	270,727	1,217,857	1,350	12,728	2,259,616
შემოსავალი	231,934		83,589	23,350	629,559			968,432
გასავალი		64,279		294,077	4,434			362,790
2018 წლის 31 დეკემბერი	500,363	90,367	417,469	-	1,842,982	1,350	12,728	2,865,259
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება								
2018 წლის 01 იანვარი	183,229	65,487	191,465	-	206,691			646,872
წლის ცვეთა	63,427	17,018	43,420		53,345			177,209
ცვეთის აღდგენა		30,681			27,003			57,684
2018 წლის 31 დეკემბერი	246,656	51,824	234,884	-	233,033	-	-	766,397
საბალანსო ღირებულება 2019 31.12	253,707	38,543	182,584	-	1,609,949	1,350		2,086,134
ლირებულება	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა	ბიოლოგიური აქტივი		სულ ჯამი
2019 წლის 01 იანვარი	500,363	90,367	417,469	-	1,842,982	1,350	12,728	2,865,259
შემოსავალი	378,556		103,466		599,735			1,081,757
გასავალი								-
2019 წლის 31 დეკემბერი	878,919	90,367	520,934	-	2,442,717	1,350	12,728	3,947,016
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება								
2019 წლის 01 იანვარი	246,656	51,824	234,884	-	233,033	-	-	766,397
წლის ცვეთა	126,287	7,709	55,525		61,686			251,206
ცვეთის აღდგენა								
2019 წლის 31 დეკემბერი	372,943	59,532	290,409	-	294,719	-		1,017,603
საბალანსო ღირებულება	505,976	30,835	230,526	-	2,147,999	1,350	12,728	2,929,413

2019 წლის წარსადგენ ფინანსური ანგარიშგების ფორმებში განხორციელდა გადაანგარიშებული მონაცემების წარდგენა მსს-ის სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს მიწისა და შენობის ცალ-ცალკე აღრიცხვას, თუნდაც მათი ერთიანად შეძენის შემთხვევაში. 2019 წელს განხორციელდა ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ ძირითად საშუალებებში მიწისა და შენობა-ნაგებობის განცალკევებულად აღრიცხვა. ბალანსში გამოეყო მიწა ისტორიული ღირებულებით-12,728,1 ლარი, ცვეთის აღდგენა-27,002.82 ლარი, შემცირდა საწყისი ისტორიული ღირებულება 4,433,8 ლარით.

ასევე ჩამოწერას დაექვემდებარა რეორგანიზაციის მიზნით გადაცემულ ქონებაზე გაწეული კაპიტალიზებადი ხარჯი 23,350.12 ლარის ოდენობით. აღნიშნული კორექტირებები ძირითადი საშუალების ჯგუფისთვის არ იძლევა არსებით განსხვავებას.

5. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივების საბალანო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 4135 ლარს, არამატერიალური აქტივები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით

6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მოთხოვნა არის მოკლევადიანი და და ამოღების ვადა განსაზღვრება ერთ წლამდე, დარიცხულ და მისაღებ მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. მოთხოვნები აღირიცხება ლარში.

	31.12.2019	31.12.2018
გადახდილი ავანსები	13,660	99,603
საფინანსო შემოსავალი	33,612	33,612
მოთხოვნები საწარმო პერსონ მიმართ	26	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	249,938	202,769
სულ	297,237	335,984

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების თვითღირებულება გაანგარიშებულია საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშაჲს წარმოადგენს შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოებისთვის გათვალისწინებული მარაგები და საწვავი:

	31.12.2019	31.12.2018
საწვავი	2,247	1,795

საქონლის მარაგი	121,882	123,024
სულ	124,129	124,819

8. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული სალაროში ლარი	1,641	2,143
ფული საბანკო ანგარიშებზე ლარი	34,396	36,771
ფული საბანკო ანგარიშებზე ევრო	5	12,085
ფული საბანკო ანგარიშებზე გირვანქა სტერლინგი	1,135	1,019
ფული საბანკო ანგარიშებზე აშშ დოლარი	1,466,101	1,322,064
სულ	1,503,277	1,374,082

9. წინასწარ გაწეული საგადასახადო ხარჯი

	31.12.2019	31.12.2018
წინასწარ გაწეული საგადასახადო ხარჯი	173,899	142,288
სულ	173,899	142,288

10. გაცემული სესხი

გაცემული სესხი	31.12.2018	სესხის გაცემა	სესხის დაბრუნება	გადაფასება	31.12.2019
დამფუძნებლები	167,600.00				167,600.00
სულ	167,600.00	-	-	-	167,600.00

11. კაპიტალი

11.1 კომპანიის კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შეადგენს 43,699 ლარს

	31.12.2019	31.12.2018
კაპიტალი	1,300	1,300

რეზერვები და დაფინანსება	42,399	42,399
სულ	43,699	43,699

11.2 გაუნაწილენი მოგება

	31.12.2019	31.12.2018
გაუნაწილენი მოგება	1,390,397	980,067
სულ	1,390,397	980,067

11.3 დივიდენდები

2018 და 2019 წელს დივიდენდი განაწილდა შემდეგი ოდენობით:

	31.12.2019	31.12.2018
განაწილენი დივიდენდი	1,433,285	677,438
სულ	1,433,285	677,438

11.4 წილის გატანა

2018 წელს პარტნიორის მიერ წილის გატანა რეორგანიზაციის ფარგლებში

	31.12.2019	31.12.2018
წილის გატანა რეორგანიზაციის ფარგლებში	-	294,077
სულ	-	294,077

12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

გამსესხებელი	31.12.2017	სესხის მიღება	სესხის დაფარვა	გადაფასება	31.12.201
საქართველოს ბანკი(usd)	945,148	-	271,272	15,037	688,912
სულ	945,148	-	271,272	15,037	688,912
გამსესხებელი	31.12.2018	სესხის მიღება	სესხის დაფარვა	გადაფასება	31.12.201
საქართველოს ბანკი(usd)	688,912	-	323,229	43,107	408,790
სულ	688,912	-	323,229	43,107	408,790

13. ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2019	31.12.2018
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	19,962	33,211
სულ	19,962	33,211

14. გადასახდელი ხელფასები

	31.12.2019	31.12.2018
გადასახდელი ხელფასები	2,877	243
სულ	2,877	243

15. მიღებული ავანსები

	31.12.2019	31.12.2018
მიღებული ავანსები	3,317,663	2,485,337
სულ	3,317,663	2,485,337

16. გადასახდელი დივიდენდი

	31.12.2019	31.12.2018
გადასახდელი დივიდენდი	16,302	16,302
სულ	16,302	16,302

17. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიას არ გააჩნია საგადასახადო ვალდებულებები.

მოგების გადასახადის ხარჯი

2019-2018 საგადასახადო წლებში კომპანიას აქვს გაუნაწილებელი მოგება და დარიცხული მოგების გადასახადი .

	2,019	2,018
მოგება დაბეგვრამდე	2,099,554	1,323,230
მოგების გადასახადი	255,939	119,621

18. შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან

	31.12.2019	31.12.2018
შემოსავალი მომსახურეობის მიწოდებიდან	7,561,848	5,719,482
სულ	7,561,848	5,719,482

19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	31.12.2019	31.12.2018
მარკეტინგის -რეკლამის ხარჯები	40158	46519
შრომის ანაზღაურება	3772771	3035069
სტუდენტთა დაფინანსების ხარჯი	3111	
თანამშრომელთა კვალიფიკ და სწავლების დაფინანსება	16310	4238
სხვადასხვა განაცემები[გაცვ. პროგრამის სტუდენტების დაფინანსება და სხვა]	103071	21857
კურსდამთავრებულთა ხარჯები	7100	
საპენსიო ხარჯი დამსაქმებლის	56755	
მივლინების ბენორმატიული ხარჯი და სხვა	8945	
საიჯარო ქირა	10263	4962
სასწავლო პროცესის მომსახურების თანხა ა/მანქანებით [ოც-524ცო და ოც-535-ცო-ს]მომსახურების ლიზ/ ხარჯი	39064	24250
საკანცელარიო ხარჯი	4364	15242
სამ.ხარჯი	6416	7679
გელეფონის გადასახადები	7930	5530
სასწავლო პროცესის მართვის სისტემის მომსახ. ხარჯი	8007	6263
საქმის წარმოების ავტომატიზებული სისტემის მომსახურება	8950	11700
სახანძრო სიგნალიზაციის ტექ. მომსახურების	4620	2400
ლიფტის ტექ.მომსახურების	1800	1500
ლიფტის ტექ.მომსახურების	200	
საკონსულტაციო ხარჯები	94955	141059
კურსდამთავრებულთა ღონისძიების ხარჯები		3926
ცვეთა და ამორტიზაცია	251206	177209
სხვა საგადასახადო ხარჯი	39329	34670
მიწის გადასახადის ხარჯი	421	421
საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამული პაკეტის ხარჯი	13000	
ბანკის საკომისიო	5268	8242
საწვავის ხარჯი		14858
წარმომადგენლობითი ხარჯი სტუმრების	36365	41757
სტუდ.სასწ.პროცეს.კლინ.ხარჯები	3272	4125
მივლინების ხარჯი	128315	64305
სტუდენტური/აკადემიის და სტუდ აქტივობების ხარჯი	9879	21652
ობიექტის ღაცვის ხარჯი	28847	23497
სამუშაველო მომსახურების ხარჯი	389693	389562
საგრანტო ხარჯი [ი. ბილანიშვილის ხელმძღვანელობით]	12866	
საგრანტო ხარჯი გ. ბესელიას ხელმძღ.	16933	
გ. გაბისონიას ხელმძღვანელობით საგრანტო ხარჯი	1500	
საგრანტო ხარჯი ე.კლდიაშვილის ხელმ.	9594	

საგრანტო ხარჯი ი. სასანიას ხელმძღვანელობით	2915	
საგრანტო ხარჯი [მ. თევზაძის ხელმძღვანელობით]	10000	
საგრანტო ხარჯი [ნ. მუსერიძის ხელმძღვანელობით]	15020	
ელ.ენერგიის გადასახადი	16317	12351
მიზნობრივი დასუფთავების გადასახადი	2393	2464
წყლის გადასახადი	6094	5496
გაზის გადასახადი	29496	10718
სამედიცინო ნარჩენების გატანა	1020	150
დერატიზაცია	426	426
კომპანიის მიერ დასუფთავების ხარჯი	16600	
ქონების საღებღვევო ხარჯი	7826	4783
მიკროავტობუსის საღებღვევო ხარჯი	873	1145
ფორდ ფოკუსის საღებღვევო ხარჯი	141	568
თანამშრომელთა დაზღვევა კომპანიის წილი პრემია	27457	20531
გგ445ქგ დ. ო. ა/მანქანა	1038	
WLW 949- ქირ. ა/მანქანა	6205	
ოც-534-ცო დაზღვევის ხარჯი	422	
ა/მანქანა ოც-534-ცო -ს ხარჯი საწვავის	8556	
A/MANQANA FCF-820- ; RQ-952QR	1304	
A/M GG 445 GQ	4261	
A/M WLW 949	878	
მიმდინარე სარემ. ხარჯები	4537	5666
კატრიჯების ხარჯი	2463	3125
თანამშრომ. კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ხარჯი	9430	190
ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების	330	
კომპიუტერის აქსეს. ხარჯი	3280	5146
მეკატრი აღრიცხ. დოკ. ხარჯი	711	3172
სხვადასხვა	61968	61139
ბაღის ხარჯები		452
მიკროავტობუსის ხარჯები	2707	118
ქსეროქსის ხარჯები	352	224
სხვადასხვა საწვევოების და მოსაკრებლების	354	
ბცბ 339-ის ფორდის ხარჯები		60
სამეცნიერო კვლევითი ხარჯები	360	4648
უცხ. სტუდენტთა დოკ. სარემ. ხარჯები	16214	8927
ოც-534-ცო -ს სათადარიგო ხარჯი	6329	703
ა/მანქანა ოც-524ცო გოიოტა კამრის ხარჯი		1765
აღმინ და აკად. პერსონალის აქტივობები		221
IFMSA -s ხარჯი	6314	14980
ავტორიზაციის საფასური	5195	42732
emsas xarji		978
ბიბლიოთეკის განვითარების ხარჯები	10476	7125
GAMX GLOBAL EDUCATION IN MEDICINE	5701	2921

EXCHANGE

გაცვლითი პროგრამის ხარჯი		4691
საარქივო მომსახურების ხარჯი		7000
AMEE	33412	14518
AMSE	4938	1661
ლაბორატორიული ხარჯები	11645	1914
ა/მანქანა WLW 949-IS ტექ.მომსახურება	3223	
ა/მანქანა GG445GQ	2190	
სოციალური აქტივობები	2830	
პლაგიატის ხარჯი	190	
უსაფრთხოების ხარჯი	3823	
პოსტერები	2799	
	5502290	4365201

19.1 იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული სატრასპორტო საშუალება, საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებებით. იჯარის პირობები მოიცავს 1 წლიან პერიოდს და არის გაგრძელებადი.

20. საფინანსო შემოსავალი

	31.12.2019	31.12.2018
შემოსავალი %-დან	33612	33612
ბანკის % შემოსავალი	26929	3634
	60541	37246

21. საფინანსო ხარჯი

	31.12.2019	31.12.2018
საპროცენტო ხარჯები ბანკის სესხზე	14497	25954
მშენებლობის სესხის საპროცენტო ხარჯი	25104	28990
	39600	54944

22. შემოსავალი არასაოპერაციო საქმიანობიდან

	31.12.2019	31.12.2018
შემოს.კურსთაშორის სხვაობიდან/ გადაფასებიდან	138987	126586

არასაოპერაციო მოგება	519	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	13456	79,573
საგრანტო შემოსავალი [რუსთაველის ფონდი]	9300	
	162261	206159

23. არასაოპერაციო ხარჯები

	31.12.2019	31.12.2018
ზარალი კურსთა შორისსხვაობიდან/ გადაფასებიდან	141193	150800
არასაოპერაციო ზარალი	2013	4434
ძირითადი საშუალების თვითღირებულება		64279
	143207	219513

24. მნიშვნელოვანი ბუღალტრული მსჯელობები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ასევე გაითვალისწინება მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული მოლოდინები, ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, არსებულ სიტუაციასთან შესაბამისობის მიზნით.

a. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ხელმძღვანელობა შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით, მიღებული სააღრიცხვო შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს რეალური შედეგისგან. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება რეგულარულად. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდსათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადა

მენეჯმენტმა შეათვასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადა , და დარწმუნებულია რომ იგი არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან.თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან,ფინანსური ანგარიშგება განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალი

ხელმძღვანელობა აფასებს მისაღები დებიტორული დავალიანებების დონეს ისტორიულ გამოცდილებასა და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით.დავალიანების ამოღების რეალური ვადა შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისგან.

ბ. ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიის საქმიანობის შედეგები წარსული გამოცდილების და მიმდინარე მოვლენებისა და გარემოებების გათვალისწინებით კვლავ ზრდას განაგრძობს და აღნიშნული ფინანსური მდგრადობის ზრდა შენარჩუნდება კომპანიის ძირითადი საქმიანობის ხარისხის ზრდასა და განვითარებასთან ერთად.

ც. მოქმედი საკანონმდებლო ბაზა იძლევა კანონის ორაზრივან ინტერპრეტაციის საშუალებას, შესაძლოა საგადასახადო ორგანოებს მოსაზრება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის მოსაზრებისგან, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიის მიერ განხორციელებული საგადასახადო დაბეგვრა სრულ შესაბამისობაშია საგადასახადო კანონმდებლობასთან და კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის საგადასახადო რისკი.

25. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

მიმდინარე პერიოდში შპს “პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია“-ს სახელზე არ მიმდინარეობს არანაირი სასამართლო დავა.

26. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2019-2018 წლებში შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია“-ს განხორციელებული აქვს ქვემოთ მითითებული სამეურნეო ოპერაციები შემდეგ ურთიერთდაზოკიდებულ პირებთან:

2018 წელი

დაკავშირებული მხარე	ოპერაციის შენაარსი	დარიცხული	ნაშთი 31.12.2018
---------------------	--------------------	-----------	------------------

		თანხა	
მმართველი ხელმძღვანელობა	დივიდენდი	656,385.27	-
მმართველი ხელმძღვანელობა	საფინანსო მოთხოვნა	167,600.00	167,600.00
მმართველი ხელმძღვანელობა	საფინანსო შემოსავალი	33,612.24	202,569.14
მმართველი ხელმძღვანელობა	ხელფასი	725,117.58	

2019 წელი

დაკავშირებული მხარე	ოპერაციის შენაარსი	დარიცხული თანხა	ნაშთი 31.12.2019
მმართველი ხელმძღვანელობა	დივიდენდი	656,385	-
მმართველი ხელმძღვანელობა	საფინანსო მოთხოვნა	167,600	167,600
მმართველი ხელმძღვანელობა	საფინანსო შემოსავალი	33,612	236,181
მმართველი ხელმძღვანელობა	ხელფასი	1,003,599	
მმართველი ხელმძღვანელობა	მომსახურება	6,250	

27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წელს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში განხორციელდა ცვლილება და მისი სტრუქტურა გამოიყურება ასე:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით : თავმჯდომარე/წევრი: პნ/ 01030004891 დავით ბახტაძე, თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: პ/ნ 01002019102 გიორგი მელიქიშვილი, წევრი : პ/ნ 01017012086 გიორგი ნუსუბიძე.

28. COVID 19 გავლენა კომპანიაზე

მსოფლიო მასშტაბის პანდემიამ COVID 19 მნიშვნელოვნი გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობის ფორმაზე, სწავლის პროცესი- ფიზიკური დასწრების მოდელი ჩანაცვლა

დისტანციურმა სწავლებამ, საგამოცდო პროცესიც ასევე განხორციელდა დისტანციურ რეჟიმში კომპანიის ტექნიკური აღჭურვილობა და პერსონალის კომპეტენცია და უნარები აკმაყოფილებს საგანმანათლებლო სფეროში კანონდებლობით მოთხოვნილ სტანდარტებს, პანდემიას არსებითი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის შემოსავლების სტაბილურობაზე.

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია შეინარჩუნებს ფინანსურ მდგრადობას და არ არსებობს რაიმე სახის მოვლენა, რომელიც წარმოშობს ეჭვს არსებით განუსაზღვრელობასთან დაკავშირებით, ასევე კომპანიის უნართან გააგრძელოს საქმიანობა მომავალში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

29. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება



ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 29 სექტემბერს

დირექტორი:

ირინე შოთაძე

ირინე შოთაძე

საფინანსო სამსახურის უფროსი : ეთერი აფციაური

ეთერი აფციაური

შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის
სამედიცინო აკადემიი"-ს ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანხა
წარმოდგენილია ლარში

გადაანგარიშებული
31.12.2018

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31.12.2019

გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4.00	2,929,413	2,098,862
არამატერიალური აქტივები	5.00	4,135	4,135
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>2,933,548</u>	<u>2,102,997</u>
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6.00	297,237	335,984
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7.00	124,129	124,819
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8.00	1,503,277	1,374,082
წინასწარ გაწეული საგადასახადო ხარჯი	9.00	173,899	142,288
გაცემული სესხი	10.00	167,600	167,600
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>		<u>2,266,142</u>	<u>2,144,773</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>5,199,690</u>	<u>4,247,770</u>
გაუნაწილებელი მოგება	11.00	1,390,397	980,067
კაპიტალი		1,300	1,300
რეზერვები და დაფინანსება		42,399	42,399
<u>სულ კაპიტალი</u>		<u>1,434,096</u>	<u>1,023,765</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12.00	408,790	688,912
<u>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</u>		<u>408,790</u>	<u>688,912</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	13.00	19,962	33,211
გადასახდელი ხელფასები	14.00	2,877	243
მიღებული ავანსები	15.00	3,317,663	2,485,337
გადასახდელი დივიდენდები	16.00	16,302	16,302
<u>სულ მიმდინარე ვალდებულებები</u>		<u>3,356,804</u>	<u>2,535,093</u>
<u>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</u>		<u>5,199,690</u>	<u>4,247,770</u>

დირექტორი ირინე შოთაძე
საფინანსო სამსახურის უფროსი : ეთერი აფციაური



თარიღი 29/09/2019

შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიი" -
ს ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით თანხა წარმოდგენილია ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	გადაანგარიშებული	
	31.12.2019	31.12.2018
შემოსავლები	18	5,719,482
თვითღირებულების ხარჯები	7,561,848	-
საერთო მოგება	7,561,848	5,719,482
სხვა შემოსავლები		
საერთო და აღმინისტრაციული ხარჯები	19	(4,365,201)
საოპერაციო მოგება	2,059,558	1,354,281
საფინანსო შემოსავალი	20	37,246
საფინანსო ხარჯი	21	(54,944)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	22	206,159
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	23	(219,513)
სხვა ხარჯი		
მოგება დაბეგვრამდე	2,099,554	1,323,230
მოგების გადასახადი	255,939	119,621
წმინდა მოგება	1,843,615	1,203,609



დირექტორი: ირინე შოთაძე
საფინანსო სამსახურის უფროსი: ეთერი აფციაშვილი

თარიღი: 29/09/2020

შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" -ის ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანხა წარმოდგენილია ლარში (გადაანგარიშებული)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება						
	საწესდებო კაპიტალი	წილის გატანა	მოგება	გაცემული დივიდენდი	სულ	
I ნაშთი საანგარიშო პერიოდის 2018 წლის 1 იანვრისთვის	791,671				791,671	
1 სანარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ფულადი სახსრებით					-	
2 სანარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა/შემცირება ქონებრივი შენატანით		(294,077)			(294,077)	
3 მოცემული პერიოდის წმინდა მოგება			1,203,609	(677,438)	526,171	
II ნაშთი საანგარიშო პერიოდის 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	791,671	(294,077)	1,203,609	(677,438)	1,023,765	

დირექტორი ირინე შოთაძე
საფინანსო სამსახურის უფროსი ქეთი აფციაური

თარიღი 29/09/2019

შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიი" -
ის ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით თანხა წარმოდგენილია ლარში

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება					
	საწესდებო კაპიტალი	მოგება	გაცემული დივიდენდი	სულ	
I ნაშთი საანგარიშო პერიოდის 2019 წლის 1 იანვრისთვის	1,023,765			1,023,765	
1 საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ფულადი სახსრებით					-
4 მოცემული პერიოდის წმინდა მოგება		1,843,615	(1,433,285)	410,331	
II ნაშთი საანგარიშო პერიოდის 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	1,023,765	1,843,615	(1,433,285)	1,434,096	



დირექტორი: ირინე შოთაძე
საფინანსო სამსახურის უფროსი: ეთერი აფციაშვილი

თარიღი 29/09/2019